ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2212/05-20
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 22 დეკემბერი 2020 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, წარმოდგენილი თავმჯდომარის კახი ბექაურის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, შპს ,,ტოიოტა ცენტრი თეგეტა" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი გენერალური დირექტორის კობა ბაზაძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის თ) ქვეპუნტის და "ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების პირველი მუხლის "ა" პუნქტის საფუძველძე), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ სხვა მითითებას არ შეიცავს წინამდებარე ხელშეკრულება
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 შემსყიდველის ბალანსზე რიცხული 2 ერთეული ტოიოტას მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების (შემდგომში – მომსახურება), შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. (CPV 50112000)

3.2 ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი:

N	მწარმოებელი კომპანია	მოდელი	გამოშვების წელი	VIN კოდი	სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი
1	TOYOTA	Corola	2016	NMTBB0JE70R154987	CC210CC
2	TOYOTA	Corola	2016	NMTBB0JE70R154181	CC203CC

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი განისაზღვრება ლარებში. (იხ. დანართი N1- პრეისკურანტი);
4.2 პრეისკურანტის ჯამური ღირებულებაა - 12437.00 ლარი; პრეისკურანტში აღნიშნული ერთეულის ღირებულებებების გაზრდა დაუშვებელია.
4.3 ხელშეკრულების მიახლოებითი ღირებულება შეადგენს 3000 (სამი ათასი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების (მათ შორის დღგ-ს და სხვა) ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, ყოველთვიურად.
6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირია - შესყიდვების და ქონების მართვის ჯგუფის სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი რევაზ მორგოშია;

6. მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე.

6.2 ავტომობილების ტექნიკური მომსახურება გაწეული უნდა იქნას დაუყოვნებლივ, რიგგარეშედ. მომსახურების გაწევის ვადა თითოეულ შემთხვევაში არ უნდა ღემატებოდეს:

1. სამუხრუჭე ხუნდის შეცვლა არაუმეტეს 3სთ.
2. სავალი ნაწილების შეცვლა/აღდგენა მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღე.
3. ძრავის, გადაცემათა კოლოფის და ხიდების ძირეული შეკეთება მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღე.
4. ელექტრონული დეტალების შეცვლა/აღდგენა მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღე.
5. სათადარიგო ნაწილის საზღვარგარეთ შეკვეთის შემთხვევაში მომსახურების გაწევის ვადა არაუმეტეს 40 კალენდარული დღე.

6.3 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 6.

6. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

7.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მხარეთა შორის შესაბამის ეტაპზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;

8. ხელშეკრულებაში ცვლილება

8.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.3. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

9.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. მხარეთა ურთიერთობა

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება; მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - შესყიდვების და ქონების მართვის ჯგუფის სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი რევაზ მორგოშია;

10.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

10.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

10.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველის“ მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი;

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 %-ის ოდენობით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
11.3. სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
11.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02 %-ის ოდენობით.
11.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

14.დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
14.4 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ვადასტურებ, რომ წინამდებარე შესყიდვის განხორციელებისას ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი
სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია''
მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ზოჭორმის ქ. №50/18
საიდ. კოდი: 204953050
სს ,,თი ბი სი ბანკი”
ა/ა: GE11TB0600000000609326

კახი ბექაური
კომისიის თავმჯდომარე

მიმწოდებელი
შპს ,,ტოიოტა ცენტრი თეგეტა“
მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 6
ს/კ: 405006461
სს “თიბისი ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE95TB7686836020100002

კობა ბაზაძე
გენერალური დირექტორი

LLC Toyota Center Tegeta
Digitally signed by LLC Toyota Center Tegeta
Date: 2020.12.22 13:14:25 +04'00'

დანართი N1

TOYOTA COROLLA 1.6 2016წ

#	ნაწილის დასახელება	ერთეულის ფასი	მომსახურების ფასი
1	ძრავის ზეთი 5W30	22	0
2	გად კოლოფის ზეთი	75	50
3	ზეთი ჰიდროგამაძლიერებლია ATF Dexron DIII	24	30
4	ანტიფრიზი pink	30	30
5	ანტიფრიზი red	15	30
6	სამუხრუჭო სითხე DOT5,1 1L	44	50
7	გამოხდილი წყალი 1ლ	1	0
8	ძრავის ზეთის ფილტრი	33	0
9	კარტერის საცობის შუა სადები	2,8	0
10	ჰაერის ფილტრი	70	15
11	სალონის ფილტრი	60	10
12	სალონის ფილტრი ნახშირით	90	10
13	ანთების სანთელი	34,1	7
14	სამუხრუჭო დისკი წნ	330	40
15	სამუხრუჭო დისკი უკ	297	40
16	სამუხრუჭო ხუნდები წნ	319	30
17	სამუხრუჭო ხუნდები უკ	242	30
18	წინა მორგვი საკისარით	649	60
19	უკანა მორგვი საკისარით	970	60
20	საჭის წევის დაბოლოება მχ	195	30
21	საჭის წევის დაბოლოება მც	195	30
22	საჭის წევის მტვერდამცავი	60,5	20
23	სტაბილიზატორის მილისა წნ მχ	54	30
24	სტაბილიზატორის მილისა წნ მც	54	30
25	სტაბილიზატორის მილისა უკ	55	30
26	წნ სტაბილიზატორის სტერჟინი	123	20
27	ფრეონი 100გრ	11	30
28	მინის მწმენდი წნ მχ	40	5
29	მინის მწმენდი წნ მც	80	5
30	საქარე მინის სარეცხი სითხე-50C 1L	27,5	0
31	საქარე მინის სარეცხი სითხე-10C 0.1L	7,7	0
32	ყუმბარა შიდა	560	70
33	ყუმბარა გარე	800	70
34	ყუმბარის მტვერდამცავები კომპლ (შიდა და გარე 1მხადე)	286	50
35	გადაბმულობის დისკი	240	350
36	გადაბმულობის ქურო	280	350
37	გდაბმულობის საკისარი	580	350
38	ამორტიზატორი წნ მχ	300	50
39	ამორტიზატორი წნ მც	300	50
40	წნ ამორტიზატორის ბალიში	220	50
41	წნ ამორტიზატორის მტვერდამცავი	48,4	50
42	ამორტიზატორი უკ მχ	175	50

43	ამორტიზატორი უკ მც	175	50
44	ნათურა მოხვევის მაჩვენებლის	10	5
45	ნათურა წნ ფარის	35	5
46	ნათურა მუხრუჭის მაჩვენებლის	7	5
47	სალონის რეზინის საფენი შავი კოვრიკების კომპლექტი	180	0
48	საბარგულის რეზინის საფენი შავი კოვრიკი	135	0
49	ფანჯრის დეფლექტორების კომპლ კარზე COROLLA 2013+	415	
50	საბურავის ჰაერის წნევის სენსორი	160	6
51	ძრავი	შემოწმება	25
52	წინა საყრდენი დისკები (წყვილი)	მოხეხვა	100
53	უკანა საყრდენი დისკები (წყვილი)	მოხეხვა	100
54	დროსელის	გაწმენდა	60
55	კომპიუტერული დიაგნოსტიკა		40
56	განშლადობა	გასწორება	30
57	სავალი ნაწილი	შეზეთვა	20
58	სავალი ნაწილი	შემოწმება	20
59	საბურავის	დაშლა/აწყობა	6
60	საბურავის	ბალანსირება	6
61	წყლის ტუმბო	350	250
62	გადაცემათა კოლოფის ინიციალიზაცია	0	30
	ჯამი	9467	2970

შემსყიდველი
სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია''
მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან
წამებულის გამზირი/ზოჭორმის ქ. №50/18
საიდ. კოდი: 204953050
სს ,,თი ბი სი ბანკი"
ა/ა: GE11TB0600000000609326

კახი ბექაური
კომისიის თავმჯდომარე

მიმწოდებელი
შპს ,,ტოიოტა ცენტრი თეგეტა"
მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 6
ს/კ: 405006461
სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE95TB7686836020100002

კობა ბაზაძე
გენერალური დირექტორი

GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION
Digitally signed by GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION
Date: 2020.12.22 13:06:08 +04'00'